



ზემო იმერეთის, უკანა ფშავის, მესხეთისა და პანკისის ხეობის ეთნობოტანიკა

რაინერ ვ. ბუსმანი, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა, შალვა სიხარულიძე, ზაალ კიკვიძე, დავით ქიქოძე, დავით ჭელიძე, ქეტევან ბაცაცაშვილი და რობი ე. ჰარტი

Correspondence

რაინერ ვ. ბუსმანი¹, ნარელ ი. პანიაგუა სამბრანა¹, შალვა სიხარულიძე¹, ზაალ კიკვიძე², დავით ქიქოძე¹, დავით ჭელიძე¹, ქეტევან ბაცაცაშვილი³ და რობი ე. ჰარტი⁴

¹ბოტანიკის ინსტიტუტი და ბაკურიანის ალპიური ბოტანიკური ბაღი, ეთნობოტანიკის განყოფილება, ილიას სახ. უნივერსიტეტი; ბოტანიკური ქ. 1, 0105 თბილისი.

²ეთნობიოლოგიის ინსტიტუტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი.

³ეკოლოგიის ინსტიტუტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. 5, 0162 თბილისი.

⁴William L. Brown Center, Missouri Botanical Garden, PO Box 299, St. Louis, USA.

*Corresponding Author: rainer.bussmann@iliauni.edu.ge

Ethnobotany Research & Applications 22:15 (2021)

Repatriation of Ethnobotanical Studies

რეზიუმე

რ. ვ. ბუსმანი, ნ. ი. პანიაგუა სამბრანა, შ. სიხარულიძე, ზ. კიკვიძე, დ. ქიქოძე, დ. ჭელიძე, ქ. ბაცაცაშვილი და რ. ე. ჰარტი. ზემო იმერეთის, უკანა ფშავის, მესხეთისა და პანკისის ხეობის ეთნობოტანიკა.

Bussmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2021. An ethnobotany of Upper Imereti, Ukana Pshavi, Meshketi and Pankisi gorge, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Bocconea* 29:33-54.

ზემო იმერეთი და მესხეთი საქართველოს მეზობელი კუთხეებია, შეფენილი დიდი კავკასიონის დასავლეთ (იმერეთი) და მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში (მესხეთი), შავი ზღვის მაცურებელ მაკროფერდობებზე. ფშავი და პანკისი კი ადმინისტრაციულად კახეთს ეკუთვნის და დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილშია.

ამ შრომაში ჩვენ ვიწერდით მცენარეების ტრადიციული გამოყენებას ზემო იმერეთში, მესხეთში, უკანა ფშავსა და პანკისში. საველე სამუშაოები ჩატარდა 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარების გამოყენებით გამოიკითხა 34 მონაწილე (12 ქალი და 22 კაცი), წინასწარ თანხმობის მიღების შემდეგ. ჩვენ ჩავიწერეთ 220 სახეობა, რომლებიც წარმოადგენდნენ ჭურჭლოვანი მცენარეების 159 გვარსა და 59 ოჯახს, სოკოების 5 ოჯახს (სულ 24 სოკო, რომელთაგან სახეობამდე გაირკვა 2). 127 ჭურჭლოვანი მცენარის სახეობა მხოლოდ ბუნებაში გროვდებოდა, 91 მოყავდათ ბაღ-ბოსტნებში, ხოლო ორი მათგანი ტყეშიც გროვდებოდა და ბაღ-ბოსტანშიც მოყავდათ. მცენარეები და მათი გამოყენება მეტ-ნაკლებად ემთხვეოდა სხვადასხვა კუთხეში, ოდნავ მეტი იყო სხვაობები გამოყენებაში. გარემოსთან მორგების ანალიზმა აჩვენა, რომ

სხვაობების დიდი ნაწილი აიხსნებოდა სოფლების იდენტობით. ზღვის დონიდან სიმაღლეც მნიშვნელოვნად ხსნიდა თუ რა მცენარეებს მოიხმარდნენ ეს სოფლები, თუმცა გამოყენების ხერხებს შორის სხვაობა არ იყო სიმაღლეზე დამოკიდებული. მონაწილეების პასუხები ქალბსა და კაცებს შორის ერთმანეთისგან არ განსხვავდებოდა.

გასაღები სიტყვები: კავკასია, ეთნობოტანიკა, მცენარეების გამოყენება, ტრადიციული ცოდნა, პოსტ-საბჭოთა განვითარება.

შესავალი

საქართველო გამოირჩევა სასოფლო-სამეურნეო კულტურების და მათი ველური ნათესავების დიდი მრავალფეროვნებით, ხოლო სამკურნალო მიზნით მცენარეები ეხლაც ფართოდ გამოიყენება (Akhalkatsi *et al.* 2018a, b). ამ ტრადიციებს არსებობა ათასწლეულების წინ დასტურდება (McGovern *et al.* 2018). მცენარეების ფართოდ გამოყენებას ვხედავთ სხვადასხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებში (Söderlind 2015). ზემო იმერეთი და მესხეთი საქართველოს მეზობელი კუთხეებია, შეფენილი დიდი კავკასიონის დასავლეთ (იმერეთი) და მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილში (მესხეთი), შავი ზღვისკენ მაყურებელ მაკრო-ფერდობებზე. ფშავი და პანკისი კი ადმინისტრაციულად კახეთს ეკუთვნის და დიდი კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილშია (Kordzakhia & Javakhishvili 1971). (ნახ. 1). ამ კუთხეების მცენარეულობა წარმოდგენილია მთის ტყით, სუბალპური, ალპური, სუბნივალური და ნივალური სარტყლებით (Gagnidze & Davitadze 2000; Zazanashvili *et al.* 1999). მოსახლეთა უმრავლესობა საუბრობს ლიტერატურული ქართულით ან ადგილობრივ კილოვავზე (იმერული, მესხური, ფშაური), პანკისის ხეობის მაცხოვრებლები ასევე საუბრობენ ჩეჩურად (ქისტურად, ქვემო-ჩაჩნურად), ისინი პანკისსა და მეზობელ თუშეთისა და კახეთის რაიონებში 1830-იან და 1870 წლებში გადმოსახლდნენ (Chikobava 1986; Beridze *et al.* 2003).

ჩვენი ჰიპოთეზები შემდეგი იყო: (1) მცენარეების საერთო ცოდნა მეტი იქნებოდა მაღლა მთაში მდებარე, მივარდნილ სოფლებში; (2) ბალ-ბოსტნები უფრო ქვემოთ, ბართან ახლო მდებარე სოფლებში იქნებოდათ; (3) ფხლად მცენარეების გამოყენება ყველაზე ფართოდ გავრცელებული იქნებოდა; და (4) პანკისში ქისტების მიერ მცენარეთა გამოყენება მეზობელ ქართულ სოფლებში ჩაწერილის მსგავსი იქნებოდა.



ნახ. 1. შესაწვლილი კუთხეები

მასალა და მეთოდები

ეთნობოტანიკური გამოკითხვა

საველე სამუშაო ჩატარდა 2018 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. გამოკითხა 34 მონაწილე (12 ქალი და 22 კაცი), წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ. ვიყენებდით ნახევრად-სტრუქტურირებულ კითხვარებს, მონაწილეების შერჩევა ხდებოდა ჯაჭვურად, რომ დაგვეცვა ბალანსი ქალებს და კაცებს შორის და წარმოგვედგინა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი (28-80 წლის). მიუხედავად ამისა, მონაწილეთა უმრავლესობის ასაკი 45 წელს აღემატებოდა, რადგან ძალიან ცოტა ახალგაზრდობა რჩება დღეს მივარდნილ სოფლებში. ყველა გამოკითხვა ჩატარდა მონაწილის სახლსა და ბალ-ბოსტანში, ქართულად მოსაუბრე მკვლევრების მიერ და ითარგმნებოდა ინგლისურად. საწყისი თემა იყო ბალ-ბოსტანის მცენარეები, რასაც შემდეგ მოყვებოდა ტყეში შეგროვილი მცენარეების თავისუფალი სიის შედგენა. ტყიდან მოტანილი და ბალ-ბოსტანის მცენარეების გარკვევა ხდებოდა ველზე, ამას გარდა ვიყენებდით ლიტერატურასაც (საქართველოს ფლორა Flora of Georgia Committee 1971-2011; მაყაშვილი Makashvili 1952-1953). ვაუჩერების კოლექცია ინახება საქართველოს ეროვნულ ჰერბარიუმში (TBI). სახეობების ნომენკლატურა მიყვება www.tropicos.org, ანგიოსპერმების ფილოგენიის ჯგუფი APGIII (Angiosperm Phylogeny Group 2009). ხალხური სახელები მოტანილია მაყაშვილის მიხედვით (Makashvili 1991)

სტატისტიკური ანალიზი

ანალიზი ხდებოდა არამეტრიული მრავალგანზომილებიანი მასშტაბირებით (non Metric Multi-Dimensional Scaling, nMDS), რომელშიც მონაწილეთა ორდინაცია ხდებოდა მათი პასუხების მიხედვით. ამისათვის დგებოდა ორი მატრიცა, რომელშიც თითოეული სტრიქონი წარმოდგენილი იყო მონაწილის მიერ, და მომდევნო უჯრებში იწერებოდა მონაწილის პასუხები, თუ რა მცენარეები მოქონდა ტყიდან ან მოყავდა ბალ-ბოსტანში პირველი მატრიცის შემთხვევაში; მეორე მატრიცა მსგავსი იყო, ოღონდ აქ ჩაწერილია მცენარეების გამოყენება. მონაწილეთა პასუხების მიხედვით მათ შორის გამოითვლებოდა ბრეი-კურტისის მანძილი (Oksanen 2017). ამრიგად, ეს ორი მატრიცა გამოხატავდა 'მცენარეების სივრცეს' და 'მცენარეთა გამოყენების სივრცეს'. ამ სივრცეებში მონაწილენი, რომლების მსგავს პასუხებს იძლეოდნენ, ახლოს თავსდებოდნენ, განსხვავებული პასუხები კი აშორებს მონაწილეებს ერთმანეთისგან ორდინაციის სივრცეში. ამ სივრცეების შემდგომი ანალიზი ხდებოდა გარემოს ანუ დამოუკიდებელ ფაქტორებზე (სიმაღლე ზღვის დონიდან, მონაწილეთა ასაკი, სოფელი, მონაწილის სქესი) მორგებით, რომ გვენახა, თუ ამ ფაქტორებიდან რომელი ახსნიდა საუკეთესოდ მონაწილეთა განაწილებას ორდინაციის სივრცეებში. სტატისტიკური მნიშვნელოვნება გამოითვლებოდა 999 რანდომიზაციით. ამ ანალიზებისთვის ვიყენებდით რ-პროგრამის პაკეტ ვეგანს (R package *vegan*; Oksanen 2017).

მონაწილეთა კონსენსუსს მცენარის გამოყენების მოცემული კატეგორიისთვის ვითვლიდით როგორც გამოყენების რიცხვს გამოკლებული ტაქსონების რიცხვი და გაყოფილი გამოყენების რიცხვს მინუს 1-ზე:

$$Nur - NtNur - 1$$

ე.წ. მნიშვნელოვნების გამოსათვლელად, ანუ, თუ რამდენად ხშირად იყო სხვადასხვა სახეობა ნახსენები, ჩვენ ვახდენდით სახეობების რანჟირებას სამი ინდექსის მიხედვით: კულტურული მნიშვნელობის სიდიდე (Cultural Importance Value, CIV); გამოყენების მრავალფეროვნება Use Diversity (UD) გამოყენების შანონის ინდექსი; და გამოყენების სიდიდე Use Value (UV) ესაა რიცხვი, თუ რამდენჯერ იქნა ნახსენები სახეობა გაყოფილი მონაწილეთა საერთო რიცხვზე (Philips & Gentry 1993).

შედეგები

ჩავიწერეთ 220 სახეობა, რომლებიც წარმოადგენდნენ ჭურჭლოვანი მცენარეების 159 გვარსა და 59 ოჯახს, სოკოების 5 ოჯახს (სულ 24 სოკო, რომელთაგან სახეობამდე გაირკვა 2). 127 ჭურჭლოვანი მცენარის სახეობა მხოლოდ ბუნებაში გროვდებოდა, 91 მოყავდათ ბალ-ბოსტანებში, ხოლო ორი მათგანი ტყეშიც გროვდებოდა და ბალ-ბოსტანშიც მოყავდათ (ცხრილი 1). გამოყენების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორია იყო საკვები და სამკურნალო.

ცხრილი 1. მცენარეები და მათი გამოყენება.

ლათინური სახელე	გამოყენების კატეგორია	ქართული სახელი (ადგილობრივი)	გამოყენებული ნაწილი	მდებარეობა
Aceraceae				
<i>Acer platanoides</i> L.	სანვავი (შეშა)	ლეკა	ღერო	ტყე
<i>Acer</i> sp.	ნაკეთობები	ნეკერჩხალი	ღერო	ტყე
Actinidiaceae				
<i>Actinidia callosa</i> Lindl.	საკვები (ნედლად, მურაბა)	კივი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Adoxaceae				
<i>Sambucus ebulus</i> L.	საკვები (ალკოჰოლი, ნედლად, მურაბა); სამკურნალო (მაღალი წნევა)	ანწლი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
Agaricaceae				
<i>Agaricus arvensis</i> Schaeff.	საკვები	ქამა	ფოთოლი	ტყე
Amaranthaceae				
<i>Amaranthus retroflexus</i> L.	საკვები (ფხალი)	ჩვეულებრივი ჯიჯლაყა, ჯიჯლაყა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Beta vulgaris</i> L.	საკვები (სითბურად დამუშავებული)	ჭარხალი	ფოთოლი, ფესვი	ბალ-ბოსტანი
<i>Beta vulgaris</i> L. ssp. <i>cicla</i> (L.) Moq.	საკვები (ფხალი)	ნითელი ფხალი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Chenopodium album</i> L.	საკვები (ფხალი)	ნაცარქათამა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Spinaca oleracea</i> L.	საკვები	ნაცარქათამა	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
Amaryllidaceae				
<i>Allium atroviolaceum</i> Boiss.	საკვები (დამჟავებული)	ყანის ნიორი	ბოლქვი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium</i> sp.	საკვები (დამჟავებული, ნედლად, დამუშავებული)	ყანის ნიორი	ბოლქვი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium cepa</i> L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული)	ხახვი; (შირაქულა)]	ნაყოფი, ფოთოლი, მთელი მცენარე	ბალ-ბოსტანი
<i>Allium fistulosum</i> L.	საკვები	ქლაკვი	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium ponticum</i> Miscz.	საკვები (დამჟავებული)	ყანის ნიორი	ბოლქვი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium porrum</i> L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული)	პრასი	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტანი
<i>Allium rotundum</i> L.	საკვები (დამჟავებული)	ყანის ნიორი	ბოლქვი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium sativum</i> L.	საკვები	ნიორი	ბოლქვი	ბალ-ბოსტანი
<i>Allium victorialis</i> L.	საკვები (დამჟავებული)	მთის ლანძილი	მთელი მცენარე	ტყე

Apiaceae				
<i>Agasyllis latifolia</i> (Bieb.) Boiss.	საკვები (ნედლად, დამჟავებელი)	დუცი	ღერო	ტყე
<i>Anethum graveolens</i> L.	საკვები (ნედლად)	კამა, ცერეცო (დიდი კამა)	ფოთოლი, ყლორტები, თესლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Apium graveolens</i> L.	საკვები (ნედლად)	ნიახური, ცერეცო (დიდი კამა)	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Carum carvi</i> L.	საკვები (საკმაზი)	კვლიავი	ფოთოლი, ღერო, თესლი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Chaerophyllum aureum</i> L.	საკვები	ყინტორა	კვირტები	ტყე
<i>Chaerophyllum caucasicum</i> (Fisch.) B. Schischk	საკვები (ფხალი)	ღიმი, ატოლი; ხიფხოლა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Conium maculatum</i> L.	საკვები	კონიო	კვირტები, ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Coriandrum sativum</i> L.	საკვები (საკმაზი)	ქინძი	ფოთოლი, ყლორტები, თესლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Daucus carota</i> L. ssp. <i>sativus</i>	საკვები (ნედლად, დამუშავებული)	სტაფილო	ფესვი	ბალ-ბოსტანი
<i>Eryngium caeruleum</i> M. Bieb.	კულტირული (ავი თვალისგან დაცვა)	ლურჯი ნარი, ლურჯეკალა	მთელი მცენარე	ტყე
<i>Falcaria vulgaris</i> Bernh.	საკვები (ფხალი)	კოფრჩხილა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Foeniculum vulgare</i> Mill.	საკვები (ნედლად)	დიდი კამა, ცერეცო	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Heracleum</i> sp.	საკვები (დამჟავებელი)	დიყი	ღერო	ტყე
<i>Petroselinum crispum</i> (Mill.) Fuss.	საკვები (ნედლად)	ოხრახუმი	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
Aquifoliaceae				
<i>Ilex colchica</i> Pojark.	არ გამოიყენება	ბაძგი	ღერო	ტყე
Araceae				
<i>Arum</i> sp.	საკვები (ფხალი)	ნიუკა	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
Asparagaceae				
<i>Asparagus officinalis</i> L.	საკვები (ფხალი)	სატაცური	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Muscari sosnowskyi</i> Schchian	საკვები; ნაკეთობების (სასტვენი ბაბჭვებისთვის)	ყაზახა	ღერო	ტყე
Aspleniaceae				
<i>Asplenium pesudolanceolatum</i> Fomin	სავეტერინარო (ცურის ანთების სანიშნაალმდეგო)	გვიმრა? (?)	ფოთოლი	ტყე

<i>Asplenium scolopendrum</i> L.	სავეტერინარო (ცოხნის გამაადვილებელი)	მამასწარა? (?)	ფოთოლი	ტყე
<i>Phyllitis scolopendrium</i> (L.) Newman.	სავეტერინარო (გაზები ძროხებში)	ირმის-ენი (-)	ფოთოლი	ტყე
Asteraceae				
<i>Achillea millefolium</i> L.	სამკურნალო (მუცლის ტკივილი, წრილობები)	ფარსმანდუკი	ფოთოლი	ტყე
<i>Arctium lappa</i> L.	საკვები	ოროვანდი	ღერო	ტყე
<i>Artemisia absinthium</i> L.	სამკურნალო (სედატიური); სავეტერინარო (ბოცვრბში კბილის ტკივილი)	მწარე აბზინდა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Artemisia dracunculus</i> L.	საკვები (ნედლად)	ტარხუნა	ფოთოლი, ღერო, თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Cichorium intybus</i> L.	სამკურნალო (სტომატოლოგიური პრობლემები)	ვარდკაჭაჭა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Cirsium incanum</i> (S.G. Gmel.) Fisch. ex M. Bieb.	საკვები (ფხალი)	თეთრი ნარი	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Cynara cardunculus</i> L.	საკვები	ესპანური ართიშოკი	ყვავილი	ბალ-ბოსტანი
<i>Echinops</i> sp.	საკვები	თავკომბალა	თესლი	ტყე
<i>Helianthus annuus</i> L.	საკვები	მზესუმზირა	თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Helianthus tuberosus</i> L.	საკვები (ნედლად)	მინავაშლა, ხმატურა	ბოლქვი	ტყე
<i>Helichrysum</i> sp.	სამკურნალო (ანთების სანინაალმდეგო)	ნეგო, უკვდავა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Lactuca sativa</i> L.	საკვები	სალათა	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Lactuca serriola</i> L.	საკვები (ფხალი)	ნარკოკობა, წინჭახა	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Petasites vulgaris</i> Desf.	სამკურნალო (მუცლის ტკივილი)	ბუერა	ფოთოლი	ტყე
<i>Senecio platyphyllus</i> DC.	სამკურნალო	ხარისშუბლა	ფოთოლი, ღერო	ტყე
sp. 1	სამკურნალო (მუცლის ტკივილი, წრილობები)	ბუერა	ფოთოლი	ტყე
<i>Tagetes patula</i> L.	საკვები (საკმაზი)	ყვითელი ყვავილი - "იმერული ზაფრანა"	ყვავილი, ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Taraxacum officinale</i> Wigg.	საკვები (ფხალი, დამატკობელი)	ბაბუნჯერა	ყვავილი, ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Tragopogon</i> sp.	საკვები (დედლად); სამკურნალო (წრილობები)	ფამფარა, ფარსმანდუკი	ლატექსი, ფოთოლი	ტყე
<i>Xanthium strumarium</i> L.	საკვები	ღორის ბირკა	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი

<i>Xeranthemum squarrosum</i> Boiss.	კულტურული (რიტუალური კვამლი)	ოქროცოცხა	თესლი, მთელი მცენარე	ტყე
Berberidaceae				
<i>Berberis vulgaris</i> L.	საკვები	კონახური	ნაყოფი	ტყე
Betulaceae				
<i>Alnus barbata</i> C.A. Mey.	სანვავი (შეშა); ნაკეთობები (შავი და ყავისფერი საღებავი)	თხმელა, მურყანი	ქერქი (შიდა), ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Betula litwinowii</i> Doluch.	მშენებლობა; შეშა (სანვავი)	არყი	ღერო	ტყე
<i>Betula pendula</i> Roth	მშენებლობა; სანვავი (ცეცხლის ასანთები, შეშა); ნაკეთობები (ცოცხი)	არყი	ღერო	ტყე
<i>Carpinus caucasica</i> Grossh.	მშენებლობა; სანვავი (შეშა); ნაკეთობები (ცულის ტარი)	რცხილა	ღერო	ტყე
<i>Carpinus orientalis</i> Mill.	მშენებლობა; ნაკეთობები (ცულის ტარი)	ჯაგრცხილა	ღერო	ტყე
<i>Corylus avellana</i> L. / <i>C. pontica</i> K. Koch.	საკვები; ნაკეთობები (ყვითელი საღებავი)	თხილი	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე, ბალ-ბოსტანი
Boraginaceae				
sp. 1	საკვები (ყველში შერეული)	ბატკნისყურა	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Symphytum grandiflorum</i> DC.	საკვები (ფხალი); სამკურნალო	ლაშქარა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Trachystemon orientalis</i> (L.) G. Don	საკვები (ფხალი)	ანჩხლა	ფოთოლი	ტყე
Brassicaceae				
<i>Brassica oleracea</i> L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული, დამჟავებული)	კომბოსტო	ნაყოფი, ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Bunias orientalis</i> L.	საკვები; სამკურნალო	ხატოტი	ლატექსი, ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Capsella bursa-pastoris</i> L.	საკვები (ფხალი)	წინმატურა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Cardamine hirsuta</i> L.	საკვები (ფხალი)	ტყის წისმატი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Lepidium sativum</i> L.	საკვები (ნედლად)	წინმატი	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Raphanus sativus</i> L. var. <i>major</i>	საკვები (ნედლად)	ბოლოკი	ფესვი	ბალ-ბოსტანი
sp. 1	საკვები (საკმაზი)	პირშუშხა	ფესვი	ბალ-ბოსტანი
Campanulaceae				
<i>Campanula lactiflora</i> Bieb.	საკვები (ნედლად)	კენკეშა	ღერო	ტყე
<i>Campanula rapunculoides</i> L.	საკვები (ფხალი)	მარიტა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Caprifoliaceae				

<i>Viburnum lantana</i> L.	საკვები; ნაკეთობები (მწყემსის სახრე)	უზანი	ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Viburnum opulus</i> L.	საკვები; სამკურნალო (ხველა)	ძახველი	ნაყოფი	ტყე
Caryophyllaceae				
<i>Melandrium</i> sp.	საკვები (ფხალი)	სასტვენა	ფოთოლი, ღერო	ტყე
sp. 1	საკვები (ფხალი)	ჭყიპანტა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Commelinaceae				
<i>Commelina communis</i> L.	არ გამოიყენება	ტყის ჭორტანა	ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Tradescantia</i> sp.	სამკურნალო	უკვდავა	მთელი მცენარე	ტყე
Convolvulaceae				
<i>Convolvulus arvensis</i> L.	საკვები (ფხალი)	ხვართელა	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
Cornaceae				
<i>Cornus mas</i> L.	საკვები (ნედლად, მურაბა)	შინდი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
Crassulaceae				
<i>Sedum stoloniferum</i> Gmel.	საკვები (ფხალი)	მსუქანა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Cucurbitaceae				
<i>Cucumis sativus</i> L.	საკვები (ნედლად, დამჟავებული)	კიტრი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Cucurbita pepo</i> L.	საკვები	გოგრა	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Cupressaceae				
<i>Juniperus depressa</i> Raf. ex McMurtrie	სამკურნალო	ღვია	ნაყოფი	ტყე
Dispacaceae				
<i>Dipsacus sativus</i> (L.) Honck	ნაკეთობები (მატყლის გასაწმენდი)	გოქშო	ყვავილელი	ტყე
Dryopteridaceae				
<i>Polystichum</i> sp.	სავეტერინარო (მასტიტი ძროხებში)	-	ფოთოლი	ტყე
sp. 1	საკვები	ჩადუნა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Ebenaceae				
<i>Diospyros lotus</i> L.	საკვები	ჩვეულბრივი ხურმა	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Eleagnaceae				
<i>Hippophaë rhamnoides</i> L.	საკვები	ქაცვი	ნაყოფი	ტყე
<i>Shepherdia</i> sp.	საკვები	-	ნაყოფი	ტყე
Ericaceae				

<i>Rhododendron caucasicum</i> Pall.	საკვები (ნედლად, მურაბა); სამკურნალო (ჩაი); ნაკეთობები (ყავისფერი საღებავი)	დეკა	ყვავილი, ფოთოლი	ტყე
<i>Rhododendron luteum</i> Sweet	საკვები	იელი	ნაყოფი	ტყე
<i>Rhododendron ponticum</i> L.	ნაკეთობები (საცხობად)	შქერი	ფოთოლი	ტყე
<i>Vaccinium arctostaphylos</i> L.	საკვები (ჩაი)	მოცვი, მოცვი მაღალი	ნაყოფი	ტყე
<i>Vaccinium myrtillus</i> L.	საკვები (ნედლად, კომპოტი, ჩაი); სამკურნალო	მთის მოცვი	ნაყოფი	ტყე
<i>Vaccinium vitis-idaea</i> L.	საკვები	წითელი	ნაყოფი	ტყე
Fabaceae				
<i>Lathyrus roseus</i> Steven	საკვები (ფხალი)	არჯაკელი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Lathyrus tuberosus</i> L.	საკვები	თერო	ტუბერი	ტყე
<i>Phaseolus sativus</i> L.	საკვები (სითბურად დამუშავებული)	ლობიო	ნაყოფი, თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Robinia pseudoacacia</i> L.	საკვები (დამატკობელი); ნაკეთობები (ცულის და თოხის, სხვა იარაღის ტარები)	აკაცია	ყვავილი, ღერო	ტყე
sp. 1	სამკურნალო (ჭრილობები)	სამყურა	ფოთოლი	ტყე
<i>Trigonella caerulea</i> (L.) Ser.	საკვები (საკმაზი)	ულუმბო, შამბრიკა , უცხო სუნელი	ნაყოფი, თესლი	ბალ-ბოსტანი
Fagaceae				
<i>Castanea sativa</i> Mill.	მშენებლობა	ნაბლი	ღერო	ტყე
<i>Fagus orientalis</i> Lipsky	მშენებლობა (ყვარი)	წიფელი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Quercus iberica</i> M. Bieb	საკვები, მშენებლობა	მუხა	ნაყოფი, ღერო	ტყე
Fungi indet.				
sp. 1	საკვები	არყა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 2	საკვები	ბუხმისოქო -	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 3	საკვები	დათოსოქო -	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 4	საკვები	ირმისკვა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 5	საკვები	კალმახასოქო-	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 6	საკვები	კისოქო	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 7	საკვები	კოჯობა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 8	საკვები	მანსითო	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 9	საკვები	მანცქვალა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 10	საკვები	მათშკვალა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 11	საკვები	მელნისიდა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 12	საკვები	მითისქლმაგი	ნაყოფსხეული	ტყე

sp. 13	საკვები	ნიჭული	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 14	საკვები	ნითლუა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 15	საკვები	ნითლუა ყალმა სოკო	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 16	საკვები	სერანა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 17	საკვები	წიფელა	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 18	საკვები	წიფლისოქო	ნაყოფსხეული	ტყე
sp. 19	საკვები	წირალა	ნაყოფსხეული	ტყე
Geraniaceae				
Geranium sp.	საკვები (ფხალი)	ნემსინვერა	ფოთოლი	ტყე
Gomphaceae				
Ramaria flava (Schaeff.) Quél.	საკვები	ირმის რქა, საჩირელა	ნაყოფსხეული	ტყე
Grossulariaceae				
Ribes sp.	საკვები	მოცხარი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
sp. 1	საკვები	ხურტკმელი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
sp. 2	საკვები	ხურტკმელი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
sp. 3	საკვები	ხურტკმელი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Hyacinthaceae				
Ornithogalum spp.	საკვები (ფხალი)	ძალღნიორა	მთელი მცენარე	ტყე
Hypericaceae				
Hypericum perforatum L.	სამკურნალო (ანთების საწინააღმდეგო, სედატიური)	კრაზანა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Juglandaceae				
Juglans regia L.	საკვები; ნაკეთობები (ყავისფერი საღებავი)	კაკალი	ნაყოფი, თესლი	ტყე, ბალ-ბოსტანი
Pterocarya pterocarpa (Michx.) Kunth ex Iljinsk.	ნაკეთობები (საღებავი)	ლაფანი	ფოთოლი	ტყე
Juncaceae				
Juncus effusus L.	არ გამოიყენება	ჭილი	ფოთოლი	ტყე
Lamiaceae				
Lamium album L.	საკვები (ფხალი)	ჭინჭრის დედა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Lamium purpureum L.	საკვები (ფხალი)	ბებრისკონკა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Mentha pulegium L.	საკვები	პიტნა	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
Ocimum basilicum L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული)	რეჰანი	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
Origanum vulgare L.	სამკურნალო (ჩაი); ნაკეთობები (ყავისფერი საღებავი)	თავშავა	ფოთოლი, ღერო	ტყე

<i>Satureja hortensis</i> L.	საკვები (ნედლად)	ქონდარი	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
<i>Satureja spicigera</i> (C. Koch) Bois.	საკვები (ფხალი)	ტყის ქონდარი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Thymus</i> sp.	სამკურნალო (ჩაი)	ბეგქონდარა	ფოთოლი, ღერო	ბალ-ბოსტანი
Liliaceae				
<i>Fritillaria lutea</i> Mill.	საკვები (ნედლად, მურაბა)	ყვითელი ღვინა	კვირტები	ტყე
<i>Gagea</i> sp.	საკვები (ფხალი)	-	ფოთოლი	ტყე
<i>Galanthus</i> sp.	საკვები (ფხალი)	თეთრყვავილა	ფოთოლი	ტყე
<i>Ornithogalum woronowii</i> Kasch	საკვები (ფხალი)	ძალღნიორა	ფოთოლი	ტყე
Lythraceae				
<i>Punica granatum</i> L.	საკვები	ბროწეული	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Malvaceae				
<i>Althaea</i> sp.	საკვები (ფხალი)	ტუხტი	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Malva neglecta</i> L.	საკვები (ფხალი)	ბალბა	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Malva sylvestris</i> L.	საკვები (ფხალი)	ბალბა	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
Melanthiaceae				
<i>Veratrum lobelianum</i> Bernh.	სავეტერინარო (მონელება)	შხამა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Moraceae				
<i>Ficus carica</i> L.	საკვები	ლელვი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Morus alba</i> L.	საკვები (ალკოჰოლი)	თუთა	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Myrtaceae				
<i>Acca sellowiana</i> (O. Berg.) Burret	საკვები	ფეიხოა	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Oleaceae				
<i>Fraxinus excelsior</i> L.	ნაკეთობები	იფანი, კოპიტი	ღერო	ტყე
<i>Ligustrum vulgare</i> L.	საკვები	კვიდო	ნაყოფი	ტყე
Ophioglossaceae				
sp. 1	სამკურნალო (ჭრილობები)	მარგალიტა	ფოთოლი	ტყე
Papaveraceae				
<i>Chelidonium majus</i> L.	სამკურნალო (ფალარათის სანინაალმდეგო)	ქრისტესისხლა	ფოთოლი	ტყე
<i>Papaver oleracea</i> L.	საკვები (ხინკალი)	-	მთელი მცენარე	ბალ-ბოსტანი
<i>Papaver somniferum</i> L.	საკვები (ფხალი, ნედლად)	ყაყაჩო, ღაჟღაჟა	კვირტები, ყვავილი, ფოთოლი, ღერო	ტყე
Phytolaccaceae				

<i>Phytolacca americana</i> L.	საკვები (დამჟავებელი, ფხალი)	ჭიაფერა	ნაყოფი, ფოთოლი, ღერო (ნედლი)	ტყე
Pinaceae				
<i>Abies nordmanniana</i> (Steven) Spach	მშენებლობა; შეშა (სანჯავი)	სოჭი	ღერო	ტყე
<i>Picea orientalis</i> (L.) Peterm.	მშენებლობა (ყავარი); შეშა (სანჯავი)	ნაძვი	ღერო	ტყე
<i>Pinus kochiana</i> Klotzsch ex K. Koch	მშენებლობა	ფიჭვი	ღერო	ტყე
<i>Pinus sosnowskyi</i> Nakai	მშენებლობა	ფიჭვი	ღერო	ტყე
Plantaginaceae				
<i>Plantago major</i> L.	სამკურნალო (ანთების სანიანალმდეგო)	მრავალძარღვა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Plantago media</i> L.	სამკურნალო (ხველა, მუცლის ტკივილი)	მრავალძარღვა	ფოთოლი, ღერო	ტყე
Poaceae				
<i>Agrostis</i> sp.	სამკურნალო (ხველა)	ნამიკრეფია, ცახცახა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Avena sativa</i> L.	საკვები	შვრია	თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Calamagrostis arundinacea</i> (L.) Roth	ნაკეთობები	ბრძამი	ფოთოლი	ტყე
<i>Hordeum vulgare</i> L.	საკვები	ქერი	თესლი	ბალ-ბოსტანი
sp. 1	საკვები	ჭვავი	თესლი	ბალ-ბოსტანი
sp. 2	საკვები	ხორბალი	თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Triticum aestivum</i> L.	საკვები (ალკოჰოლი)	ხორბალი	თესლი	ბალ-ბოსტანი
<i>Zea mays</i> L.	საკვები (ღომი)	სიმინდი	თესლი	ბალ-ბოსტანი
Polygonaceae				
<i>Rumex acetosa</i> L.	საკვები (ფხალი)	მჟაუნა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Rumex alpinus</i> L.	საკვები (ფხალი); ნაკეთობები (მწვანე საღებავი)	მთის ლოლო	ფოთოლი, ღერო, ფესვი	ტყე
<i>Rumex</i> sp.	საკვები (ფხალი)	მთის ლოლო	ფოთოლი	ტყე
sp. 1	ნაკეთობები (ყვითელი საღებავი)	წართხალი	ფოთოლი	ტყე
sp. 2	საკვები	წინიბურა	თესლი	ბალ-ბოსტანი
Portulacaceae				
<i>Portulaca oleracea</i> L.	საკვები (ფხალი)	დანდური	ფოთოლი, ღერო	ტყე
Primulaceae				
<i>Primula</i> sp.	საკვები (ფხალი)	ტყის ფურისულა	ფოთოლი	ტყე


Psathyrellaceae				
sp. 1	საკვები	მელანა	ნაყოფსხეული	ტყე
Ranunculaceae				
<i>Adonis aestivalis</i> L.	საკვები (ფხალი)	ცხვირისატეხელა	ფოთოლი, ღერო	ტყე
<i>Clematis vitalba</i> L.	საკვები (ფხალი)	ინგრიხე, ციცაბარდა	ფოთოლი, ღერო	ტყე, ბალ-ბოსტანი
Rhamnaceae				
<i>Frangula alnus</i> Mill.	ნაკეთობები (სახრე)	ხეჭრელი	ღერო	ტყე
<i>Rhamnus cathartica</i> L.	სამკურნალო (პურგატიული)	ხეშავი	ნაყოფი	ტყე
<i>Rhamnus imeretina</i> Booth, Petz. & Kirchn.	სამკურნალო (პურგატიული)	იმერული ხეჭრელი	ნაყოფი	ტყე
Rosaceae				
<i>Alchemilla</i> sp.	სამკურნალო	მარმუჭი	ფოთოლი	ტყე
<i>Crataegus</i> sp.	საკვები; სამკურნალო	კუნელი	ნაყოფი	ტყე
<i>Cydonia oblonga</i> L.	საკვები	კომში	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Eriobotrya japonica</i> (Thunb.) Lindl.	საკვები	-	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Fragaria vesca</i> L.	საკვები	მარწყვი	ნაყოფი	ტყე
<i>Fragaria x ananassana</i> Duchesne ex Rozier	საკვები	მარწყვი	ბოლქვი, ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Malus domestica</i> L.	საკვები	ვაშლი, მთვარეშული	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Malus orientalis</i> Uglizk.	საკვები (ალკოჰოლი)	მაჟალო, პანტა-ვაშლი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Mespilus germanica</i> L.	საკვები	ზღმარტი	ნაყოფი	ტყე
<i>Prunus armeniaca</i> L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული)	გარგარი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Prunus avium</i> (L.) L.	საკვები	ბალი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Prunus avium</i> (L.) L. var. <i>silvestris</i>	საკვები	ბალამწარა, მწარე ბალი, ჟიშხა	ნაყოფი	ტყე
<i>Prunus divaricata</i> Ledeb.	საკვები (საწებელი)	ტყემალი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Prunus insititita</i> L.	საკვები	ლოღნოშო	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Prunus laurocerasus</i> L.	საკვები (მურაბა)	წყავი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Prunus persica</i> (L.) Batsch	საკვები	ატამი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Prunus spinosa</i> L.	საკვები (ალკოჰოლი)	კვრინჩხი	ნაყოფი	ტყე
<i>Prunus x domestica</i> L.	საკვები	ქლიავი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი

<i>Pyrus caucasica</i> Fed.	საკვები (ნედლად)	პანტა, პანტა-მსხალი	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
<i>Pyrus communis</i> L.	საკვები (ნედლად, მურაბა)	მსხალი, გულაბი, პიპილონდონი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Rosa</i> sp.	საკვები (ნედლად, მურაბა)	ასკილი	ნაყოფი	ტყე
<i>Rubus fruticosus</i> L.	საკვები (ცხობა, ნედლად, მურაბა); ნაკეთობები (საცხობად)	მაყვალი	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
<i>Rubus ideaus</i> L.	საკვები (ნედლად, მურაბა)	ჟოლო	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Rubus</i> sp.	საკვები (ცხობა); ნაკეთობები (საცხობად)	მაყვალი	ნაყოფი, ფოთოლი	ტყე
<i>Sorbus aucuparia</i> K. Koch	საკვები; სამკურნალო Urinar(მოსასარდი -- <i>Sorbus</i> <i>torminalis</i> Crantz.)	ცირცელი, ჭნავი, ჭნავი, ჭნავი, ცირცელი	ნაყოფი, ღერო	ტყე
<i>Sorbus torminalis</i> Crantz	საკვები	თამელი	ნაყოფი	ტყე
sp. 1	საკვები	ამპურა, მაპურა	ნაყოფი	ტყე
sp. 2	არ გამოიყენება	ბირკავა	ნაყოფი	ტყე
Rutaceae				
<i>Citrus limon</i> (L.) Burm. f.	საკვები	ლიმონი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Citrus reticulata</i> Blanco	საკვები	მანდარინი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Citrus sinensis</i> Osbeck	საკვები (ნედლად, მურაბა)	ფორთოხალი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
Salicaceae				
<i>Populus pyramidalis</i> Rozier	სანვავი (შეშა)	ალვის ხე	ღერო	ტყე
<i>Populus</i> sp.	სანვავი (შეშა)	ვერხვი	ღერო	ტყე
<i>Salix alba</i> L.	მშენებლობა	ტირიფი	ღერო	ტყე
<i>Salix caprea</i> L.	ნაკეთობები (კალათები)	მდგნალი, ტირიფი	ტოტები, ღერო	ტყე
sp. 1	მშენებლობა	წნორი	ღერო	ტყე
Sapindaceae				
<i>Acer laetum</i> C.A. Mey.	სანვავი (შეშა)	ქორავი	ღერო	ტყე
Simaroubiaceae				
<i>Ailanthus altissima</i> (Mill.) Swingle	არ გამოიყენება	ხემყრალი	ღერო	ტყე
Solanaceae				
<i>Capsicum annuum</i> L.	საკვები	წინაკა, მწარე წინაკა	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Capsicum annuum</i> L. var. <i>bulgari</i>	საკვები	წინაკა ბულგარული	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Datura stramonium</i> L.	არ გამოიყენება	ღემა	მთელი მცენარე	ტყე
<i>Hyoscyamus niger</i> L.	არ გამოიყენება	ღენცოფა	მთელი მცენარე	ტყე
<i>Lycopersicum esculentum</i> L.	საკვები (ნედლად, დამუშავებული, დამჟავებული)	პომიდორი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი






<i>Nicotiana rustica</i> L.	კულტურული (ბურნუთი)	თამბაქო	ფოთოლი	ბალ-ბოსტანი
<i>Solanum melogena</i> L.	საკვები (სითბურად დამუშავებული)	ბადრიჯანი	ნაყოფი	ბალ-ბოსტანი
<i>Solanum tuberosum</i> L.	საკვები (ფხალი)	კარტოფილი	ნაყოფი, ფოთოლი, ღერო, ტუბერი	ტყე, ბალ-ბოსტანი
sp. 1	საკვები	-	ტუბერი	ბალ-ბოსტანი
Staphyleaceae				
<i>Staphylea colchica</i> Steven	საკვები (დამუშავებული)	ჯონჯოლი	ყვავილი, ღერო (ნედლი)	ტყე, ბალ-ბოსტანი
Taxaceae				
<i>Taxus baccata</i> L.	საკვები, მშენებლობა	უთხოვარი, ურთხელი (უთხოვარი), ხერკინა	ნაყოფი, ღერო	ტყე
Tiliaceae				
<i>Tilia caucasica</i> Rupr.	ნაკეთობები (ხელსაწყო-იარაღის ტარები)	ცაცხვი	ღერო	ტყე
Tricholomataceae				
sp. 1	საკვები	ღრუბელა	ნაყოფსხეული	ტყე
Ulmaceae				
<i>Ulmus elliptica</i> C. Koch	ნაკეთობები (ხელსაწყო-იარაღის ტარები)	თელამუში	ღერო	ტყე
<i>Ulmus</i> sp.	ნაკეთობები (ხელსაწყო-იარაღის ტარები)	თელა	ღერო	ტყე
<i>Zelkova serrata</i> Makino	ნაკეთობები	ძელქვა	ღერო	ტყე
Urticaceae				
<i>Urtica dioica</i> L.	საკვები (ფხალი); ნაკეთობები (საღებავი)	ჭინჭარი	ფოთოლი, ღერო	ტყე
Violaceae				
<i>Viola</i> sp.	საკვები (ფხალი)	ია	ფოთოლი, ღერო	ტყე
Vitaceae				
<i>Vitis vinifera</i> L.	საკვები	ყურძენი; [ადესა, ალადასტური, კაბისტანი, მწვანე, ოჯალეში, პინო თეთრი, პინო შავი, სუფრის ყურძენი, ციცკა, ცოლიკაური]	ნაყოფი	ტყე, ბალ-ბოსტანი
Zygophyllaceae				
<i>Peganum harmala</i> L.	კულტურული (საკმეველი)	მარიამსაკმელა	ნაყოფი	ტყე

მონაწილეები ერთმანეთისგან უფრო მეტად განსხვავდებულდნენ მათ მიერ ჩამოთვლილი მცენარეების მიხედვით (ნახ. 2A, ნახატზე ნაჩვენებია მონაწილეები, მაგრამ არა მცენარეები გრაფიკის უკეთესი წარმოჩენისთვის), ვიდრე გამოყენების კატეგორიების მიხედვით (ნახ. 2D, ნაჩვენებია მონაწილეებიც და გამოყენების კატეგორიებიც). სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან მნიშვნელოვნად იყო მორგებული მცენარეთა (ნახ. 2B, $r^2 = 0.427, p = 0.001$) და მათი გამოყენების (ნახ. 2E, $r^2 = 0.375, p = 0.226$) ორდინაციის სივრცეებს.

A Informants in plant-space




D Informants in use-space



ნახ. 2. მონაწილეების ორდინაცია ჩაწერილი მცენარეების (A,B,C) და ამ მცენარეთა გამოყენების კატეგორიების

(D,E,F) მიხედვით.. მონაწილეები ერთმანეთისგან უფრო მეტად განსხვავდებულდნენ მათ მიერ ჩამოთვლილი მცენარეების მიხედვით (A, ნახატზე ნაჩვენებია მონაწილეები, მაგრამ არა მცენარეები გრაფიკის უკეთესი წარმოჩენისთვის), ვიდრე გამოყენების კატეგორიების მიხედვით (D, ნაჩვენებია მონაწილეებიც და გამოყენების კატეგორიებიც). სოფლის სიმაღლე ზღვის დონიდან მნიშვნელოვნადაა მორგებული მცენარეთა (B, $r^2 = 0.427$, $p = 0.001$) და მათი გამოყენების (E, $r^2 = 0.375$, $p = 0.226$) ორდინაციის სივრცეებს.

სახეობათა უმრავლესობა ფართოდ გამოიყენებოდა გამოკვლეულ კუთხეებში, შედარებით მეტი მცენარე და მათი გამოყენების განსხვავებული კატეგორია ჩაიწერა ახალიციხის რეგიონში, ასევე ზემო იმერეთში (ბაღდათი). სხვა კუთხეებში გამოჩნდა მცენარეთა და მათი გამოყენების ფართო მსგავსება. მონაწილეთა კონსენსუსი მცენარეების გამოყენების შესახებ მაღალი იყო (ნახ. 3).




ნახ. 3. მონაწილეთა კონსენსუსი მცენარეთა გამოყენების მიხედვით (Akha = ახალიციხე; Akhm = ახმეტა; Aspi = ასპინძა; Bagh = ბაღდათი; Dush = დუშეთი).

შედეგების განხილვა


საკვლევ კუთხეებში შედგენილი სახეობების სია მოულოდნელად უფრო მოკლე აღმოჩნდა, ვიდრე სხვა რეგიონებში დოკუმენტირებული სახეობების სიები. სახეობათა რიცხვი უფრო მცირე იყო ვიდრე მეზობელ სვანეთ-ლეჩხუმში (Bussmann *et al.* 2014, 2016a), სამცხე-ჯავახეთში (Bussmann *et al.* 2017a, b) და გაცილებით მცირე ვიდრე მაღალმთიან თუშეთ-ხევსურეთში (Bussmann *et al.* 2016b, 2017c); ცხადია ასევე ჩამოუვარდებოდა სახეობების და მათი გამოყენების კატეგორიების რაოდენობას უფრო ფართოდ ხმელთაშუაზღვის რეგიონში (Bussmann *et al.* 2016c, Bussmann 2017). სიები საკვლევ კუთხეებიდან შეიცავდა უმთავრესად სვანეთ-რაჭასა (SR, Bussmann *et al.* 2014, 2016a) და გურიაში ჩაწერილ მცენარეებს (GU, Bussmann *et al.* 2018), ნაკლები იყო მსგავსება სხვა კუთხეებთან -- თუშეთ-ხევსურეთთან (TK, Bussmann *et al.* 2016b, 2017c), სამცხე-ჯავახეთთან (SK, Bussmann *et al.* 2017a, b), ან რაჭასთან (RA, Bussmann *et al.* 2018) (ნახ. 4). თუმცა, ამ კვლევაში ჩაწერილი მცენარეთა გამოყენების კატეგორიათა ხვედრითი სიხშირის მიხედვით არ დისტანცირდებოდა სხვა საქართველოს კუთხეებისგან (ნახ. 5).

Informants in plant-space



ნახ. 4. გამოკვლევული კუთხეების ჩაწერილი სახეობების სია მსგავსია ადრე სვანეთი-რაჭასა (SR) და გურიაში (GU) ჩაწერილი სახეობების სიისა, და ორდინაციის სივრცეშიც ეს მონაწილეები ამ კუთხეების მონაწილეების ახლო განლაგდნ და დაცილდნენ სხვა ადრე გამოკვლევულ კუთხეებს: თუშეთ-ხევსურეთს (TK), სამცხე-ჯავახეთს (SK) და რაჭას (RA).

Informants in use-space



ნახ. 5. გამოკვლეული კუთხეების მონაწილეების განლაგება მცენარეთა ორდინაციის სივრცეში არ განსხვავდება სხვა კუთხეების მონაწილეებისგან.

ისევე როგორც მთელს საქართველოში, ტყეში შეგროვილი მცენარეები ძირითადად სამკურნალო იყო, ხოლო ბაღ-ბოსტნის მცენარეები -- საკვები (Bussmann *et al.* 2017a; Pieroni & Söukand 2017).

მთლიანობაში, ჩვენმა კვლევამ აჩვენა მსგავსი და რიგ შემთხვევებში სახეობათა უფრო ნაკლები რაოდენობა ვიდრე გამოქვეყნებულია ევროპის სხვა კუთხეებიდან. საკვები სახეობების რაოდენობა არ იყო განსაკუთრებით მაღალი ხმელთაშუაზღვის სხვა რეგიონებთან შედარებით (Pieroni & Söukand 2017; Nedelcheva *et al.* 2017; Łuczaj *et al.* 2017; Melián *et al.* 2017; Söukand *et al.* 2017; Carvalho 2016; *et al.* 2017; Kasper-Pakosz *et al.* 2016; Korkmaz *et al.* 2016; Dolina *et al.* 2017; Hajdari *et al.* 2018; Oztürk *et al.* 2018; Pawera *et al.* 2017; Pieroni 2017; Pieroni *et al.* 2018), და არც სამკურნალო სახეობები აღმატებოდნენ რიცხვით სხვა შედარებით კვლევებში ჩაწერილ სამკურნალო მცენარეებს (Pieroni & Söukand 2017; Nedelcheva *et al.* 2017; Melián *et al.* 2017; Söukand *et al.* 2017; Carvalho 2016; Polat *et al.* 2017; Kasper-Pakosz *et al.* 2016; Korkmaz *et al.* 2016a; Dolina *et al.* 2017, Korkmaz *et al.* 2016b; Hajdari *et al.* 2018; Oztürk *et al.* 2018; Pawera *et al.* 2017; Pieroni 2017; Pieroni *et al.* 2018). დავადასტურეთ Łuczaj *et al.* -ის (2017) მონაცემები, რომ *Ranunculus sp.* და *Geranium sp.* საკვებად გამოიყენებოდა, განსაკუთრებით ზემო იმერეთში, შეზავებული მწვანელითა და ნიგოზით -- ანუ, ფხლის დასამზადებლად, რაც აჩვენებს, რომ შხამიანი მცენარეების საკვებად გამოყენება მართლაც ძალიან გავრცელებული იყო საქართველოში. თუმცა, მიუხედავად ამ ცოდნის

დადასტურებისა შხამიანი მცენარეების საკვებად მოხმარების შესახებ, მონაწილეები უკვე აღარ იყენებენ ამ მცენარეებს. გაგვაკვირვა სოკოების საკვებად გამოყენების იშვიათობამ, მით უმეტეს მეზობელ რაჭასთან შედარებით, სადაც სოკოს საკვებად გამოყენების გაცილებით მეტი შემთხვევა ჩავიწერეთ (Kupradze *et al.* 2015; Busmann *et al.* 2018).

სამადლობელი: ავტორები ვემადლიერებით იმერეთის, მესხეთის, ფშავის და პანკისის ყველა მაცხოვრებელს რომლებიც დაგვთანხმდნენ ჩვენს ეთნობოტანიკურ კვლევაში მონაწილეობას.

ავტორტა წელილი: კვლევის იდეის ჩამოყალიბება და დაგეგმვა: რ.ვ.ბ., ნ.ი.პ.-ს., შ.ს., ზ.კ., დ.ქ., დ.ჭ. და ქ.ბ.; საველე სამუშაო: რ.ვ.ბ., ნ.ი.პ.-ს., შ.ს., ზ.კ., დ.ჭ. და ქ.ბ.; ძირითადი სტატისტიკური ანალიზი: რ.ე.პ.; მონაცემების საერთო ანალიზი და ხელნაწერის მომზადება და რ.ე.პ.დება: რ.ვ.ბ., ნ.ი.პ.-ს. ყველა ავტორმა წაიკითხა, ჩაასწორა და მიიღო ხელნაწერის საბოლოო ტექსტი.

მეტოქე ფინანსური ინტერესები: ავტორები აცხადებენ, რომ არ გაგვაჩნია რაიმე მეტოქე ფინანსური ინტერესი

ბიბლიოგრაფი

- Akhalkatsi M, Girgvliani T, Mazanishvili L. 2018a. Crop Wild Relatives of the *Hordeum* L. genus in Georgia (South Caucasus). *Agricultural Research and Technology* 14(3).
- Akhalkatsi M, Goloshvili T, Gvaladze G. 2018b. Rare and Endangered Medicinal Plants of Georgia. *International Journal of Resesearch and Studies in Science, Engineering and Technology* 5(3):16-25.
- Angiosperm Phylogeny Group. 2009. An update of the Angiosperm Phylogeny Group classification for the orders and families of flowering plants: APG III. *Botanical Journal of the Linnean Society* 161(1):105-121
- Beridze T, Archvadze I, Eliadze T (eds). 2003. Major results of the first national general census of the population of Georgia, vol. 2. State Department of Statistics of Georgia, Tbilisi
- Busmann RW, Paniagua-Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Bakanidze N. 2014. Wine, Beer, Snuff, Medicine and loss of diversity – Ethnobotanical travels in the Georgian Caucasus. *Ethnobotany Research and Applications* 12:237-313
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2016a. Medicinal and food plants of Svaneti and Lechkhumi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Medicinal and Aromatic Plants* 5:266. doi: 10.4172/2167-0412.1000266.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Khutsishvili M, Batsatsashvili K, Hart RE, Pieroni A. 2016b. Your poison in my pie – the use of Potato (*Solanum tuberosum* L.) leaves in Sakartvelo, Georgia (Caucasus) and Gollobordo, Eastern Albania. *Economic Botany* 70(4):431-437.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2016c. A comparative ethnobotany of Khevsureti, Samtskhe-Javakheti, Tusheti, Svaneti, and Racha-Lechkhumi, Republic of Georgia (Sakartvelo), Caucasus. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 12:43, doi: 10.1186/s13002-016-0110-2.
- Busmann RW (ed). 2017. *Ethnobotany of the Caucasus*. Springer International Publishing, Cham.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2017a. Ethnobotany of Samtskhe-Javakheti, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 16(1):7-24.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2017b. Plants in the spa – the medicinal plant market of Borjomi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 16(1):25-34.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Khutsishvili M, Batsatsashvili K, Hart RE. 2017c. Plant and fungal use in Tusheti, Khevsureti and Pshavi, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Acta Societatis Botanicorum Poloniae* 86(2):3517. doi: 10.5586/asbp.3517.
- Busmann RW, Paniagua Zambrana NY, Sikharulidze S, Kikvidze Z, Kikodze D, Tchelidze D, Batsatsashvili K, Hart RE. 2018. Unequal brothers – Plant and fungal use in Guria and Racha, Sakartvelo (Republic of Georgia), Caucasus. *Indian Journal of Traditional Knowledge* 17(1):7-33.
- Carvalho AM. 2016. Homegardens in North-Eastern Portugal: Former features, roles, gendered knowledge and practices. *Gaia Scientia* 10(2): 10-25. doi: 10.21707/ga.v10.n02a02

- Chikobava A (ed). 1986. Explanatory Dictionary of the Georgian Language. Georgian Soviet Encyclopedia, Tbilisi.
- Dolina K, Jug-Dujaković M, Łuczaj Ł, Vitasović-Kosić I. 2017. A century of changes in wild food plant use in coastal Croatia: the example of Krk and Poljica. *Acta Societatis Botanicorum Poloniae* 85(3):3508. doi: 10.5586/asbp.3508
- Flora of Georgia Committee. 1971-2011. Vol. 1-16. Metsniereba, Tbilisi.
- Gagnidze R, Davitadze M. 2000. The local flora - Plant world of Georgia. Gamomtsemloba Ach'ara, Batumi
- Hajdari A, Pieroni A, Jhaveri A, Mustafa B, Quave CL. 2018. Ethnomedical Knowledge among Slavic Speaking People in South Kosovo. *Ethnobiology and Conservation* 7:6. doi: 10.15451/ec2018-03-07.06-1-42
- Kasper-Pakosz R, Pietras M, Łuczaj Ł. 2016. Wild and native plants and mushrooms sold in the open-air markets of southeastern Poland. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 12:45. doi 10.1186/s13002-016-0117-8
- Kordzakhia M, Javakhishvili S. 1971. Climate of Georgia. Ganatleba, Tbilisi
- Korkmaz M, Karakus S, Selvi S, Çakilcioglu U. 2016a. Traditional knowledge on wild plants in Üzümlü (Erzincan-Turkey). *Indian Journal of Traditional Knowledge* 15(4):538-545.
- Korkmaz M, Karakus S, Özçelik H, Selvi S. 2016b. An ethnobotanical study on medicinal plants in Erzincan, Turkey. *Indian Journal of Traditional Knowledge* 15(2):192-202.
- Kupradze I, Jorjadze A, Arabidze A, Beltadze T, Batsatsashvili T, Paniagua Zambrana NY, Bussmann RW. 2015. Ethnobiological Study of Svaneti Fungi and Lichens: History of Research, Diversity, Local Names and Traditional Use. *American Journal of Environmental Protection* 4(3-1):101-110.
- Łuczaj Ł, Tvalodze B., Zalkaliani D. 2017. Comfrey and Buttercup Eaters: Wild Vegetables of the Imereti Region in Western Georgia, Caucasus. *Economic Botany* 71(1).
- Makashvili A. 1952-1953. Flora of Tbilisi and environs. Metsniereba, Tbilisi.
- Makashvili A. 1991. Botanical Dictionary. Plant Names. 3rd ed. Metsniereba, Tbilisi
- McGovern P, Jalabadze M, Batiuk S, Callahan MP, Smith KE, Halla GR, Kvavadze E, Maghradze D, Rusishvili N, Bouby L, Failla O, Cola G, Mariani L, Boaretto E, Bacilieri R, This P, Wales N, Lordkipanidze D. 2018. Early Neolithic wine of Georgia in the South Caucasus. *PNAS*. doi: 10.1073/pnas.1714728114
- Nedelcheva A, Pieroni A, Dogan Y. 2017. Folk food and medicinal botanical knowledge among the last remaining Yörüks of the Balkans. *Acta Societatis Botanicorum Poloniae* 86(2):3522. doi:10.5586/asbp.3522
- Oksanen J, Guillaume Blanchet F, Kindt R, Legendre P, Minchin PR et al. 2015. Vegan: Community Ecology Package. R package version 2.3-0. <http://CRAN.R-project.org/package=vegan>.
- Oksanen J, Guillaume Blanchet F, Friendly M, Kindt R, Legendre P, McGlinn D, Minchin PR, O'Hara RB, Simpson GL, Solymos P, Stevens MHH, Szoecs E, Wagner H. 2017. vegan: Community Ecology Package. R package version 2.4-3. <https://CRAN.R-project.org/package=vegan>
- Oztürk M, Altundağ S, Ibadullayeva J, Altay V, Aslanipour B. 2018. A comparative analysis of medicinal and aromatic plants used in the traditional medicine of Iğdir (Turkey), Nakhchivan (Azerbaijan, and Tabriz (Iran). *Pakistan Journal of Botany* 50(1): 337-343.
- Pawera L, Łuczaj Ł, Pieroni A, Polesny Z. 2017 Traditional plant knowledge in the White Carpathians: Ethnobotany of wild food plants and crop wild relatives in the Czech Republic. *Human Ecology*. doi: 10.1007/s10745-017-9938-x
- Philips O, Gentry AH. 1993. The useful plants of Tambopata, Peru: I. Statistical Hypothesis tests with a new quantitative technique. *Economic Botany* 47:15-32.
- Pieroni A, Sökand R. 2017. The disappearing wild food and medicinal plant knowledge in a few mountain villages of North-Eastern Albania *J Appl Bot Food Qual* 90:58-67, Doi: 10.5073/JABFQ.2017.090.009
- Pieroni A. (2017) Traditional uses of wild food plants, medicinal plants, and domestic remedies in Albanian, Aromanian and Macedonian villages in South-Eastern Albania. *Journal of Herbal Medicine* 9:81-90. doi: 10.1016/j.hermed.2017.05.001
- Pieroni A, Sökand R, Amin HIM, Zahir H, Kukuk T. 2018. Celebrating multi-religious co-existence in central Kurdistan: The bio-culturally diverse traditional gathering of wild vegetables among Yazidis, Assyrians, and Muslim Kurds. *Human Ecology*. doi: 10.1007/s10745-018-9978-x

- Polat R, Güner B, Babacan EY, Çakilcioglu U. 2017. Survey of wild food plants for human consumption in Bingöl (Turkey). *Indian Journal of Traditional Knowledge* 16(3):378-384.
- Söderlind U. 2015. Religion and diet in a multi-religious city. A comprehensive study regarding interreligious relations in Tbilisi in everyday life and on feast days. *Religion and Food. Scripta Institut Donn Aboensis* 26:158-180.
- Sõukand, R, Hrynevich, Y, Vasilyeva, I, Prakofjewa, J, Vnukovich, Y, Paciupa, J, Hlushko, A, Knureva, Y, Litvinava, Y, Vyskvarka, S, Silivonchyk, H, Paulava, A, Kõiva, M, Kalle, R. 2017. Multi-functionality of the few: current and past uses of wild plants for food and healing in Liubań region, Belarus. *Journal of Ethnobiology and Ethnomedicine* 13:10. DOI:10.1186/s13002-017-0139-x
- Zazanashvili N, Gagnidze R, Nakhutsrishvili G. 1999. Main types of vegetation zonation on the mountains of the Caucasus. *Acta Phytogeographica Suecia* 85:7-16.